



ზამთრის არსებობისათვის.

ბუნებისკენ!

ცხოვრების ქუჩილსა
 ტკივილით ვგრძნობ...
 ღუმლით წუხილსა
 წუხილით ვგრძნობ!..
 მზე მკრთალობს, ცივდება...
 ღამე სცვლის ღრეს...
 ფოთლები სცივდება
 სიცოცხლის ხეს!..
 სულის ცივს ზამთარში
 სევდა გულს სჭამს!..
 განვლილის დავთარში
 დაიძებ ჯამს:
 საგნები... ფიქრები...
 განცდათა ზღვა...
 ზნეობის ნიხრები...
 და.. სხვა და სხვა!
 ვერ ვიქერ თადარიგს:
 ღმერთო, რას ჰგავს?!..
 ვერ ვხედავ წესს და რიგს,
 ბოლოს და თავს!..
 აქ ცრემლის ნამს ჰყინავს,
 იქ ლხენის მიძვს...
 აქ გულის ვარდს სძინავს
 დამკვანარს და ცივს!..
 აზრს ვხედავ ატყორცნილს...
 იქ რწმენის ჯვარს...
 აქ ბავის დაკოცნილს,
 იქ შხამის ცვარს!..
 ვხედავ მე ოფლის ქაფს...
 საქმეთა ცხრილს...
 მღელვარე ყოფნის ძაფს
 წვრილ-წვრილად ჰკრილს!..
 იქ ბრწყინავს... რა არი?...
 ოქრო თუ ბზე?
 სად არის მთავარი:
 ნივთი in se?!

საკითხი წყეული!..
 ამიხსნის ვინ:
 სადა ვარ წვეული,
 რა მელის წინ?!
 ვიფი და ვინძრევი
 რისთვის და რად?
 ვიყავი... ვინგრევი...
 ვიფხვენები მტვრად!..
 ბუდედ ხდის ტაძარსა
 წყვილადის ბუ...
 ყოფნასა ამგვარსა
 რა ვუთხრას, ფუქს!

გავიდეთ!.. დავსტოვოთ დამპალი ბუდენი!
 მთელ მარადისობის ფასი აქვს—წამს!
 და ნულარ ვაყოფნებთ!.. ვანგრით ზღუდენი,
 გავქცეთ მანქანას, კნიების შხამს!
 მოვისხნათ ნიობი... სულის რიგს...
 აქ სხვა, აქ სხვა, სრულივით სჭამს!..
 გავქცეთ ხრწნილ ქალაქს, სუნსქვას რო გვიძნელებს,
 უხვად რო მიმოსთესს ჰირსა და ჟამს!..
 ვიხრჩობით!.. ჰაერი!.. ვიქაროთ!.. გავასწროთ!
 მკვარტლ-კვამლი სიბილწის გვეხვევა გარს!
 კაცს მძიმე, დუხჭირი სამოსი გავადროთ:
 მივცეთ ის განმწმენდელ ცეცხლსა და ქარს!
 ჟამს უფროობისას ჩვენივე ნაგები
 ღიღების გოდოლი დავამხოთ ძი.რს!
 შევმუსროთ საქმენი სისხლითა ნაქები,
 ეს ყველა კაცისა კვენსად არ ღირს!
 გავქცეთ კანონსა გველივით შხამიანს!
 გავქცეთ კაენის წყეულსა დაღს!
 გავქცეთ უსხივოს ყოფნასა ღამიანს!..
 მივმართოთ ბუნების მშვენიერ ბაღს!
 ხელი-ხელ ჩაკიდვით, ბავშვებთან ერთად
 ელივილით მოვედოთ მთასა და ბარს!
 სადაცა ნამდვილი ღმერთი სწამთ ღმერთად,
 სად პირი უცინის სიცოცხლის დარს!
 სადაცა ყვაილი უკმევენ ციურსა
 სიმღერას ვაზაფხულს, მუღმივად მშვენს...
 სადაცა ვიპოვნით დაკარქულს, მზიურსა
 სამოთხეს და ლოცვას პირველსა ჩვენს!..
 წიგნთა და ზარბაზანთ ნაცვლად ბუნება
 მოგვაწვდის მშობლიურს ძუძუსა ტკბილს...
 ამაო იქნება იქ ოქროს ცთუნება,
 იქ სული მოსძებნის სავანეს თბილს!
 ლაჟვარდის ამბორო მოგვიჩვენს იარებს...
 ვადეჟკრავთ მზიარულ ზმას იავარდს!
 ყოველი მცენარე ჩვენ გაგვიზიარებს,
 ჩვენც ვაფუზიარებთ ლხენას და დარდს!
 იქ შემოქმედების ზღვა არის მღელვარე!
 რაც სიბრძნემ ვერ მოგვცა, ალლოთი ვცნათ!
 ახალი ცხოვრების გვირგვინი ელვარე
 ფაქიზ და წრფელ გულის ხელებით ვცნათ!
 სხვა ენით... სხვა ფიქრით.. მთლად გარდაქმნილები,
 არცოდნის მცოდნენი, ვისწრაფოთ წინ!
 გზა დაკარქულები, ტყე-მინდვრის შვილები
 დავბრუნდეთ დედასთან, დავბრუნდეთ შინ!
 ბავშვები—ბავშვებში!.. წკრილა ხმებითა
 არსთა ჰიმნს სურნელსა ჩვენც მივცემთ ბანს!
 „დიდება ასხმულსა ზურმუხტის ფრთებითა
 პირნათელ სიცოცხლეს! დიდება პანს!“...

თეთრი ზაფხუნი

(რომანი)

(გაგრძელება)

მალამ თვალი შეავლო მოსაყვედურ-რე შეყვარებულს და უზომოდ დაიტანჯა, შეებრალა დაწვარი სული. მღელვარე სახეზე და ამღვრეულს თვალებში შეჰნიშნა უცნაური რამ მიმზიდველი ძალა, რომელიც რაღაცა მანქანებით სწვდებოდა და სწურავდა მის გულს. ნიმიტორებულს ზღვა თვალებში გამოუთქმელი ვნება ზოლ-ზოლად უთრთოდა, ისე დასტრიალებდა, თითქოს ორბი ყოფილიყო, რომელიც ცად სრბოლის დროს მცირეოდენი წრის შემოვლებით აჯადოვებს, ჰიპნოზით იპყრობს თავის მსხვერპლსა, რომ სწრაფად ბრწყალელები გაუყაროს და წარიტაცოს.

— მალი!..
 ლელომ ვედრებით ხელი წაატანა. მალამ თვალები მიჰლულა. გაინაბა. იგრძნო, რომ ლელოს ხელი მღელვარედ შეეხო. წუთით რიდაცის გარდაწყვეტილებაში იყო, თითქოს ყოყმანობდა, თითქოს ამოცნობასა სცდილობდა, თუ რას ჰფიქრობდა ამ დროს მალი. შემდეგ შეჰნიშნა, ლელო მის თითის წვერებს მალა სწევს. კვლავ ნებას დაჰყვა. ოდნავი შებრძოლებაც ვერ მოახერხა. სურვილმა ჩაეკლა ნების ყოფა. აი, გაფიცებულ ტუჩების სიმწვავე იგრძნო... შეესმა კოცნას ხმაც... ლელო მოსწყდა... უეცრივ მუხლებზე დაეცა და ასე უხმოდ განაგრძობდა მის ხელის კოცნას.

— ლელო, ლელო...
 საყვარელად შეჰნიშნა მალამ და თავზე ხელი გადაუსვა, როგორც მშობელმა თავის პირმშოს. ნახად თვისკენ გადმოჰხარა იმისი თავი და გაუღიმა.

— საბრალო ბავშვო...
 ლელომ თვალები ასწია. ამღვრეულ თვალებიდან მიზნდებოდა ვნების ოდნავი ნაპერწკლები შეაკვსა. მალის უცნაურ თრთოლვამ დაურბინა. მუხლთ მოეკვთა. მთელს ძარღვებში საშინელი ცეცხლის წვა იგრძნო. მთელი მწუხარება, შებრალება და სიყვარული უეცრივ მის თვალებშია ც აღამპარდა, აცივდა, სწრაფად დაიწყო გაშმაგებული გიზგიზი. ლელომ მთრთოლვარე მკლავი მოჰხვია, თავისკენ გადმოჰხარა. მალამ ჩაჰპალა სახე მის კისერთან, მაგრამ ტუჩების შეხებაზე თავი მალა ასწია სწორედ ლელოს თავთან ერთად მათი ტუჩები თავდავიწყებით შეეკონენ ერთი ერთმანეთს. არც ლელოს და არც მას ეხლა აღარავისი ეშინოდათ, აღარც სიკვდილის, აღარც სიცოცხლის. წუთმა და საუთუნემ ჩანთქა ყოველისფერი, რაც მათს გარშემო არსებობდა. მალი ჰკოცნიდა, ჰკოცნიდა და მით სწირავდა მას, რაც კი რამ უძვირფასესი მოეპოვებოდა. მის გულიდან თუ ათრთოლებულ სულიდან გრძობათა შადრევანი თავშეუკავებლივ მოსჩქეფდა და მის ტუჩთა მილიდან ესხურებოდა გაფითრებულ ლელოს ტუჩებსა. მალი ჰკოცნიდა მას მთელ თავის არსებით, დაფარულ ვნებით, რომელსაც დღემდე ფრთებს უკრავდა, დღეს კი ასე რივად ჰპოვავდა და განთავისუფლებას მოითხოვდა. სცდილობდა, რომ კოცნით გაცილებით მეტი მიეცა, ვიდრე ამას ლელოს ანთებული ვნება მოითხოვდა. მისი სუნთქვა, მისი შეხება, ერთერთის კულულების შეხლართვა, გახურებულ სახიდან ატაცებული

ალმური ცეცხლის რგოლსავით ევლენობდა ორთავეს და ტანჯვისა და სიხარულის ვარდად ჰფურჩინდა.
 — მალი, ოჰ, მალი... რა ბედნიერება... ეხლა შენ ისე მშვენიერი ხარ, რომ...
 წამოიძახა დამთვრალმა ლელომ, როდესაც ღონე-მიხილილი მალი მოწყვეტით ჩაეშვა სავარძელში.
 — ჩემი იქნები, ჩემი...
 ჩურჩულებდა ლელო. წარიშალა მათს შორის ოფიციალი დამოკიდებულება. თქვენ-შენობა ერთმანეთში აირია. ეს პარველი იყო ორთავესთვის ასეთი ბედნიერი თავდავიწყება. მალამ მისი ხელები კალთაში დაიჭირა. ამჟურის მღელვარე ზვირთები ერთმანეთს ასკდებოდა.
 — შენ ჩემი იქნები, ლელო, ჩემი, არასოდეს არ გამოგწირავ...
 — მალი, ოჰ, მალი...
 კვლავ ჩურჩულებდა დამთვრალი ლელო. მალიც ჰკოცნიდა. თავს ისე ჰგრძნობდა, თითქოს მისი გული მოიცვა უცნაურმა და ფრიად გულწრფელმა სიყვარულმა, რომლის რაობა წინა დამდვილად არ უწყოდა, თუმცა მის სახელს ყოველთვის ახსენებდა და ეალერსებოდა ოცნების ფრთით. იგი ამ დროს დამარცხებული იყო უზომოდ სწყუროდა ლელოს მორჩილი ყოფილიყო, მისი მხვევალი, რომ ხვარტლასავით შემოსწონდა როგორც ღვთაების ლელწამს და მზის სხივებ ქვეშ განბანის ასეთს ყოფაში დაეღია მთვრალი წუთები.
 — მართლა ჩემი იქნები, ხომ? — ეკითხებოდა ლელო.
 — ჰო, ჰო, შენი ვიქნები, შენი...
 უპასუხა და უეცრივ, რაღაცაზე კლტაცებით შეპყრობილმა, გაბრწყინებულ თვალებით შეჰხედა და მხარზე ხელის დაკვრით შეეკითხა:
 — გსურს, ნახო, როგორი ფერია ვიქნები გაშლილ კულულებით? კარგი. მას შენა ნახავ. აი, ეს ფერიაც ასეთი არის...
 სწრაფად ქუდი მოიძრო, თმები ჩამოიშალა, ცალი ნაწნავი ყელზე ჩამოიშალა, მეორეთი ლელოს კისერზე მოეხვია და მღელვარედ დაუწყო კოცნა.
 — კარგია, ხომ?... აჰა, შენია, შენია... ეს შენ გეკუთვნის, მხოლოდ შენ, შენ...
 ლელომ უმწყო ბავშვსავით თავი კალთაში ჩაუგორა. მალი კი ლოყებს უსრესდა, ასწევდა სახეს, თვალებში ჩააცქერდებოდა, რომ არც ერთი ნაკვთი უკოცნელი არ დარჩენოდა.
 — ოჰ, რა კარგი ხარ, რა კარგი... შენ ხომ არ იცი, რაში გამოიხატება ეს სიკარგე... აი, ეს სინაზე... უმანკოება... ნახად მკრთოლვარე თვალეები... ფერმკრთალი ტუჩები... ეს მორცხვობა... გაუბედავი ვნება... ხან მრისხანე... ხან კი წყნარი, მოჩუბჩუბე ღვთაების ანკარა წყაროსავით...
 ლელო შეტოკდა. უეცრივ ძალა მოიკრიბა. ქალწულებრივი კოცნა ვნების ჩაბჭირებად გარდაექცა. მალი შემოფოთდა. ალერსის ნაცვლად უეცრივ ტლანქი ინსტიქტის ბორგვა იგრძნო, რომელიც უხეშ ძალას ეპატივებოდა მის დასაპყრობად. ხელი ჰკრა. კალთიდან სწრაფად მოიშორა. გაფითრებულ ლელო იატაკზე წატორტმანდა. თავი ძლივ-ძლივობისას შეიკავა. იქვე გაშეშდა. წუთით დუმილი ისე მალამ დაარღვია. სწრაფად საკვიათე გახსნა,



მეთოდე ვასილის ძე ქათამაძე. საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი, დაარსა სხვა და სხვა კულტურული დაწესებულებანი იმერეთის დაბა-სოფლებში.

პატარა სარკე ამოიღო და ლელოს თვალებს შეუნათა.
 — ჰხედავ?
 ლელომ თავის სახის დანახვაზე შეძრწუნებულ შორის დებული შეჰკივლა და ორთავე ხელი მიიფარა.
 — არ შემოძლიან, არა, არა...
 წარმოსთქვა ტირილით, მუხლზე დაემხო და უმწყო ბავშვსავით პატივბას ითხოვდა.
 — არაფერია, არაფერი... ადვილთ, მეგობარო, დროა, ბინამდე მიმაცილოთ... სამი საათი უკვე გადასულია... თმები შეისწორა. ქუდი დაიხურა. თვითვე კარი გამოაღო. ეტიკეტმა და დარბაისლურმა თავაზიანობამ უმალვე თავის ადგილი დაიკავა, როდესაც ლელო უხმოდ, მორჩილად გასაცილებლად ფეხდაფეხ გაჰყვა მალის.
 X
 ცა ვარსკვლავებით შეცრემლილიყო. საოცარს მყუდროებას მოეცვა არე-მარე. ქალაქს ეძინა. მნათობთ აღმასები მიმოებნიათ ახლად დადებულს თოვლას პირზე და ჩვეულებრივის სითამამით შეჰკისკისებდნენ ცის კამარას.
 — მალი, ეტლს ვიშოვნი...
 — ასე სჯობიან...
 ქუჩებში მათს გარდა ძე ხორციელი არვინ სჩანდა. მხოლოდ აქა-იქ, ისიც ათასში ერთგან ჰიშპართან მეზობევი მიკრუნჩხულიყვნენ და ნახენვრად ჩაკუცქულთ ჩასძინებოდათ. ბინამდე ისე მივიდნენ, რომ ვერც კი შეჰნიშნეს. ეკრალებოდნენ ლაპარაკს. ლელომ რამდენჯერმე მოისურვა ბოდიშის მოხდა, მაგრამ ხმა ვერ ემორჩილებოდა. სარკით გამომკრთალი მზარავი მხეცის აჩრდილი სულ თვალ წინ უდგა. სწყველიდა, გულში ათას კრულვას უთვლიდა ამ სიშმაგისა და თავაწყვეტილ პირუტყვობის წუთს, რამაც მოსპო და ერთიანად დასცა მისი სახელი საყვარელ არსების თვალშიც, რომელიც მასში შეჰხაროდა უმანკო ვაჟის ქალწულ ვნებას.
 — თქვენ მე მიწყურებით, ვგრძნობ, რომ საძაგლად მოვიქეცი...
 უთხრა ლელომ, როდესაც დაატყო, რომ ათიოდ წუთის სავალი აღარ გვექნებაო. ეს იყო უდიდესი ტანჯვის ზღურბელის გადაქეღვა. მალამ მხოლოდ დუმილის შემდეგ უპასუხა.
 — არა, არ ვწყურები...
 — რად უნდა გიგულოთ ამ დღიდანა?
 — მეგობრად.
 — მხოლოდ მეგობრად?

— განა საქმარისი არ არის? ყოველ სითამამეს თავის საზოგადო უნდა ჰქონდეს. მე საკურთხეველი აღგიგყვამსხვერპლს კი ვერ შემოგწირავთ. თქვენ მხატვრობას განაგრძობთ. პირობას მოგცემთ, რომ მოდელად გამოგადგებით. მოდელი უბრალო შემთხვევააო, — ამბობდა, თუ არა ვცდები უაჰლდი. აი, თქვენც საუკეთესო შემთხვევა მოგცათ ისარგებლოთ ჩემი მოდელით. თქვენ შემოქმედი უნდა იყოთ, გესმით? დღეს თუ ჩემით აჰხსნით ერთს საიდუმლოს პირს, ხვალ სხვა უნდა ეძიოთ. ცხოვრება დაუშრეტელია. რამდენიცა გსურთ, იმდენი მოდელი მოიპოვება, ნაირ-ნაირი, ერთი ერთმანეთზე უკეთესი. მხოლოდ შემოქმედების სფეროშია კრიზისი, ჯერ ვერ ვხედავთ ნამდვილ შემოქმედს, მხატვარს. მით უმეტეს ეს ითქმის ჩვენში, სადაც პლასტიური ხელოვნება მხოლოდ ჩურჩუნია. ნიშნებს თქვენში ვხედავ, რომ ჩვენც გვეყოლება კარგი მხატვარი, არა თუ კარგი, საქმეური. პირფერობა არ გეგონოსთ: სწორედ საქმეური მხატვარი. სრული იმედი მაქვს, თქვენ ყრობის ფუქსავატობას გადაჰლახავთ, რომანტიკოსობის ბადეში არ გაენგვევით და თქვენს იტყხ ხელს არ შეუშლით გაფუორჩნაში. ახლა კი მივედით... შემოძლიანთ დაბრუნდეთ. გამარჯვებით ხელი გაუწოდა.
 — გამდლობთ გამოცილებისათვის. ნახვამდის... შემოიარეთ, ოოდესაც მოიცალოთ, არ დამავიწყდებით...
 კაოი შეიხურა. შესვლისთანავე საწოლს მიაშოა. საჩქაროდ გაიხადა და ისე ჩაწვა, რომ სანთელი არ აუნთია. ერთგვარს დაქანცულობასა ჰგრძნობდა. ყოველისფერი სიხმრად გადამხდაოი ეგონა. მის გარშემო ქათამა დაჰპურა საწოლი. ოთახის მისტიურს იღუმალებში თითქოს ხარები და ოაღაც უცნაური ხმები გაისმა. რა იყო, რა მოხდა? მალის არა ესმოდა რა. ტუჩებზე ღიმილი კრთოლვით გაეფუორჩნა. ეს იყო გამარჯვების შეგნება, რამაც აუწყა, რომ ლელოსთვის იგი ოცნების ზღვაზე მოსოილვე ფრინველი იყო. მაგრამ ღიმილი იგი მალე ტახავად და მჭუნვარეად შეეცვალა. ოად დაჰყვა ნებას? ოატომ სიმტკიცე არ გამოიჩინა?
 — ფრჩხილებით უნდა სახე დამეკაწრნა და ამით განმებანა შებლაღუელი ჩემი სიწმიდე.
 მაგრამ თვითვე შეჰკრთა ამ სიტყვებში.
 — როგორ თუ შებლაღული სიწმიდე? გინა რა ჩაიდინა საიძისო? იგი ისეთივე წმიდაა, როგორც მე.
 შემდეგ გაჰყვა ფიქრებს, გაიხსენა ლელო, მისი ტანჯული მეტყველება ბავშვური გატაცება და მშობლიური სიბრაღულით აიგსო.
 — ცოდოა, ცოდო... სწორედ ასე უნდა მოექცეულიყავი... ის ხომ ობოლია!.. ობლობისთანა ძნელი ამ ქვეყნად არა არის არის რა. მუისაფარი სული ეძიებს ნავთსაყუდარს და რად მიკვირს თუ პირველ შეხვედრილს ასე გატაცებით მომენდო, მოინდომა ჩემი მონადირეობა. ბედნიერთათვის საუკუნე მხოლოდ წუთია, მაშინ როდესაც ობოლნი ყოველს წუთში საუკუნეს ჩაქუჩს ითმენენ. ჰო და რად უნდა დაფურღვიო გულის სიმშვიდე? ან და რა არის, რას წარმოადგენს ქალი მამაკაცთან შედარებით? არასფერს! თუ



კი საქირთა ქალი მსხვერპლს არ უნდა შოგრიდოს და თავს შემოეფლოს მამაკაცსა. მამაკაცი ყოველისფერია, როგორც შემოქმედი, უდიდესი ხელოვანი, რომელმაც ღმერთს ღმერთობის კვერთხი ხელიდან გამოსტაცა და სრულის ღირსებით ხელთ იპყრა ის. ჩვენ, ქალები, მიმბაძველობით ვკმაყოფილდებით. მაშ რა უფლება გვაქას, რომ მათს წინსვლას გზად გადაველობოთ?

მაგრამ ახლა გაახსენდებოდა მეორე მხარე და საცოდავად იღრუბლებოდა.

— რაც უნდა იყოს, მოვალეობა სულ სხვა რამ არის და ამ ვეშაპის კლანჭებს თეორიათა ვერც ერთი ბლაგვი მაკრატელი ძირში ვერ მოსჭრის. მე სხვას ვეკუთვნი და ისიც სხვაა, სრულიად უცხო. ასე თამაში არ შეიძლება. აი, ძოვა ხვალ და ვეტყვი, ხელი აიღოს ოცნებაზე. ისიც საკმარისია, რომ ხელოვნებაში გასამარჯვებლად ყველაფერის ნებას ვაძლევ. აი, დღეს დავათვრე კოცნით. შეიძლება ხვალაც გავაბედნიერო. მისი კოცნა უმანკოა, წმინდა, მაგრამ საკმარისი იყო ცოტაც დამეცადა, რომ კოცნა იგი და გრძობა წმინდა საზარელს პირუტყვს შეებოდა.

ფიქრთა ბრძოლაში ნათლად ჰხედავდა, რომ ჰაერი დიდი ხანია მოწამლული იყო ლელოს „უმანკო კოცნით“ და „წმიდა გრძობით“. ცოდვა, ყოველგან ცოდვა, ყოველგან ცოდვა შავ ზოლებით ელანდებოდა.

— დაე, იყოს ეს ცოდვა, — გამოიკარკაცა ბოლოს მალში, — თუ კი მისი გზებმა ესოდენ მშვენიერი იქნება და მას ბედნიერებას მიანიჭებს.

იგი ვერ ამჩნევდა, რომ მიუხედავად პროტესტისა და აზრთა წინააღმდეგობისა, პირველი გრძობის ნამდვილი სიცილე, როგორც განთიადის ექსტაზის სინაზე, სიცოცხლის მზის სხივით აფეთქილი ტრფობის ყვავილი, როგორ მოსწყვიტა ლელოს ქალწულ გულს ველიდან, ისიც დღეს. მართალია თავს აჯერებდა, ეს ცოდვა დროებითია, წუთიერი, უანგარო და უანგარიშო, რომელიც ცარცის ნაწერსავით სულ ადგილი წარსაშლელიაო, მაგრამ ნაწერი იგი მის გულზე ხელთუქნარ ვარდის ეკლით მოჰხდა. მართოლვარე ეტრატზე ნახვლეტ ადგილებიდან ასობედა ამოხეთქილი სისხლი გაჰკიოდა: „მინც მიყვარს!“ მერე და გიგე? გიგესთან ოფიციალი დამოკიდებულება ოფიციალ სიყვარულს მოითხოვდა. მალი ამ მხრივ თავს აჯერებდა, ლელოსთან გათამამება ცელქი ფანტაზიის მიერ ექსპრომტად წარმოთქმული ლექსი იყო და უმანკო ცოდვა ხელს ვერ შემოშლის შენ ძველებურად ჩემი სათაყვანებელი იდეალი იყო.

— ნუ გგონია, ვითომც გილალატი, ჩემო ძვირფასო, მე ისევ წმიდა ვარ, წმიდა... ჩამოხვალ, ჯვარს დავიწერთ, და...

ვერ დაათავა. ხელახლად მისმა სულმა უფესკრულის წინ დაიწყო ცეკვა. ეს იყო ანიტრას სწორუპოვარი გაგიყებულები აღმაფრენა სამსხვერპლოს გარშემო, მისი გაბრუებული ცეკვა, რომლის გრაცია აღტაცების სამოსლის ნაცვლად მინორით შეხამებულს ტონებში სევდის ყვავილად იშლებოდა.

— ჯვარს დავიწერთ და... მერე? რაღაც საშინელებამ დაუსერა შავი ფიქრები. წარმოუდგა, რომ ლელო სრულიად უბედური გახდებოდა.

— თავიც რომ არ მოიკლას, ყოველისფერზე ხელს აიღებს. შეიძლება უგვანო საქციელსაც მიჰყოს ხელი. სასოწარკვეთილებამ ბევრი რამ იცის... მე დავლუპავ, მე... ეს ხომ სიკვდილის თანასწორი იქნება... სიკვდილი კი არა, არამედ მკვლელობა... მე მოვკლავ, მე... მკვლეელი ვაგზდები...

ხელების მტკრევით წაშოდგა. სიარულს მოჰყვა. სულ აღარ ჰფიქრობდა გიგეზე თუ ის როგორა მიიღებდა ამ „ცოდვის“ ამბავს, გულგრილად გადაიტანდა თუ ისიც თავს მოიკლავდა, როგორც სჩვევიან უიმედოდ შეყვარებულნი. მას მხოლოდ ლელოს ბედობალი აინტერესებდა. სარკმელთან მივიდა. ვარსკვლავთა ცეკვას ორიოდ წუთით შეაჩერდა, შემდეგ გამობრუნდა და კვლავ მღელვარებას მოჰყვა.

— არა, არ შეიძლება... ამისი უფლება არა მაქვს... თავს მოვიკლავ... საგიჟეთში გავიჭრები, მაგრამ მაგას კი არ ვიზამ, რომ ის გაუბედურდეს, ობოლი დარჩეს ერთად ერთ მწუხარების ანაბარად. საბრალო. ლელო, საბრალო ბავშვო! რა კეთილი რამა ხარ! ნეტამც სულაც არ გაგცნობოდი... შენ ჩემს ფერხთა წინაშე განართხე შენი სიყრმე, შენი ახალგაზრდობა და ქაბუჯის აღფრთოვანება. რა უფლება მაქვს მივატოვო? არა, ჩემთან დარჩები, ჩემთან... მაგრამ ისე კი, როგორც ჩემი ძმა... მე კიდევ შენი და ვიქნები, შენი სულის დაია, რომ თავზე ფარვანასავით გვევლებოდე, ვიზრუნო შენს მომავალ ბედის აცისკრებაზე, რომ ბედნიერ გყო, ვარდი ვუფინო შენს ტრიუმფით წინსვლას, უზენაეს გამარჯვებას!

საწოლზე მიჰლულა თვალები. თითქოს ბურანში გაეხვია, ძილმაც ნანინა დაუძლერა, მაგრამ ფიქრები, მღელვარე ფიქრები მონადირეთა მიერ დამფრთხალ ირმის ჯოგსავით ელანდებოდნენ და გაშმაგებით მიჰქრამოქროდნენ. ბოლოს მართლა ჩაეძინა კიდევ, მაგრამ წუთიდან წუთზე ისე ფრთხილდებდა და შფოთვით რაღაცას ზმუოდა, თითქოს დატუქსულ ბავშვს ტირილით გული გადაჰვლიდა და სლოკინით ჩასძინებიაო. ლელოს ფერმკრთალი სახე ფეხდაფეხ სდევდა. აი, ისე მოეჩვენა, თითქოს იგი მის გვერდითა სდგას და ნეტარების თრთოლვით დაჰყურებს მის შიშველ მკერდზე ათამაშებულს სავსე გულის კისკისა ღიმილს. აგერ ლელო მის მუხლთან წამოწოლილა, თვით მუხლი ურთოუკად დაუდგია და ნარნარი ზღაპრით ართობს, როგორც ტყის დედოფალს ცელქი ფერია მთვარის მომხიბვლელ სონეტებით. გაათავებს სიზმრებს და ახლა აღერსით მოეხვევა:

— ვარდის სიყვარულს გეფიცები, იის კურთხეულ სურნელს, გუნდრუჯის მადლს, რომ... რომ...

— ჰო, ჰო, მჯერა, როგორ არ მჯერა, ლელო, რად მეფიცები? შექნიშნავს თავისი მხრით მალი: ანგელოზს ყველაფერი დაეჯერება. ასეთი აღერსი მხოლოდ უმანკო სულთა ხვედრია. წედან თვითონვე ვიცუდლულტე და სარკეში სულ სხვის მეტყველება გამოვკართოლე. ხომ არ იცი, რომ ჯადოსანი ვარ. დიდდამ ბევრი რამ მასწავლა ჩერქეზობის დროს. მე ისიც კი შემიძლიან გიშერი დავწვა, მის ბოლში გამოვგვხვიო, უჩინარ ვიქნე და ფეხ და ფეხ აჩრდილისავით აგედევნო. გინდა? გსურს? სიზმრის



ჯარის კაცი ხევერთან სამსონის ძე კობახიძე.

გარდაიცვალა შარშან თებერვლის 24, სარაყამიშის მახლობლათ.

ბილიკებით მოვალ და შემოქმედების დროს ზეშთამგონებლად ვიქნები. გიკარნახებ სულ სხვა, ჯერ არ დამღერებულ ჰანგებს, გასწავლი უცხო ფერადთა მოხმარებას, რომლითაც მხოლოდ ბუნება ჰსარკებლობს კეკლუც ყვევილების დასახატავად. ეს იმიტომ, რომ მიყვარხარ და შენც გიყვარვარ... შენ ჩემი ძმა ხარ და მე კი... შენი სულის დაია!.. ჰოო? არ გინდა, რომ შენი სულის დაია ვიყო? თავს ნუ იქნევა არა მჯერა... გინდა, როგორ არ გინდა... მაგრამ რას ნიშნავს, რომ ეს თვალები... ღმერთო ჩემო, ნუ თუ აქაც სარკე მქირია? არა, არა... სარკე იცრუებს... მაშინ იცრუა... მაგრამ მაინც რას ნიშნავს, რომ ეს სათნოებით სავსე თვალები ასეთის გზნებით მიყურებენ? რად სწავავენ სემს სულს? გული ჩემი ხომ ცოდვის საჭურჭლე არ არის! როგორც შენი ხელი ანგელოზთა აიაზმის სურაა, ისე ჩემი გული სურნელების თასად მოგიძღვენ. მაშ რად მიყურებ ასეთ ვნებით? შენ ხომ ბოროტი არა მოგილია რა ჩემს თავზე? ან რა ბოროტება შექმდიან უმანკო ყრმას! რაც მოხდა, მხოლოდ მწყემამობრივი იდილია იყო. ამას ანგელოზებიც კი ტაშის დაკვრით მგებებიან არა თუ წყევით. იქნებ ესლაც იდილიაა? აბა მოდი ახლოს! ჰა-ჰა-ჰა! აკი ვსტქვი! თვალმა იცრუა, მომატყუა... შენ ისევ ის ხარ, უმანკო სრული... მაშ მოდი ახლოს, უფრო ახლოს... აგრე... ჰო... მოიწი გულთან... ჩამეკარ... თუ გსურს, მაკოცე, არა და თვითონ მე გაკოცებ... ჰო, ასე, ასე... აჰ, რა კარგია!.. აბა მოვიდნენ და რაიმე ექვი შეიტანონ ამ და-ძმურ სიყვარულში, ჩვენს უსაზღვრო ალერსკოცნაში!.. ოჰ, რა ტკბილია, რა ტკბილი!.. კიდევ... ერთიც...

ეს იყო მალის ცელქ ვნებათა უკეკლუცეს ცრემლების საუცხოვო პანორამა. ტკბილი სიზმრებით დამთვრალმა როდესაც გამოიღვიძა, კარგა ხანს გონი ვერ მოიკრიბა. საშინელს მოქანცულობას ჰგრძნობდა. როდის-როდის ბუნდოვან სურათების აღდგენა მოახერხა. წამოდგა. სარკმელს ფარდები გადაჰხადა. მხოლოდ ახლა შექნიშნა, რომ მის კეკლუც სიზმრებთან ერთად დიდი ხანია გამქრალიყო თვით განთიადის ვარდისფერი აპოთეოზი.

XI

ლელომ მთელი ღამე ქუჩაში გაატარა. ქალაქის გარედაც კი ვავიდა. ხევ-ხუეებს აუარ-ჩაუარა, ეწვია მინდვრებს, შემდეგ ისევ ქალაქს დაუბრუნდა, ინახულა მთაწმიდა და მის სიამაყე მამა დავითი, მაგრამ ვალავნის კარი დაკეტილი რო დაჰხვდა, გამოტრიალდა და დაღმართზე ხის გრძელ სკამიდან ახლად დადებული

თოვლი გადაჰხვეტა, მართლაც წამოწვა და ასე დაუწყია ცურება ჩვეთ მარე ქალაქს. ფანტასტიური პანორამა თოვლში გახვეულ ქალაქისა მთელს ფეერიასა ჰშლიდა მის თვალ წინ. ელექტრონის ფარნები ოდნავად ჩამოწოლილს ნისლში მბუუტავ ვარსკვლავებივით მოციმციმებდნენ. იაგუნდის ცდომილი მუქად ჩაფიქრებულს ფონზე ნატეხი სხივებით ღნებოდნენ და კრთოლვით ლალის მოწყვეტილ ელვარებად იმოსებოდნენ.

— რა საყვარელია ეს ადგილი ფიქრ მოქანცულ ობოლ სულთათვის, — ჰფიქრობდა ლელო, — დაბლა ვარსკვლავები... მალაც ვარსკვლავები... მართლაც ექსტაზის მოყვარული მწიერი უნდა ყოფილიყო, რომ ადამიანს ამ მშვენიერების ბიბლიისათვის მიეგნო და მის საღმრთო ფურცელთა გადაშლა შესძლებოდა. არა, უბრალო მომაკვდავნი, ურიელის თქმისა არ იყოს, მეტის მეტად მომაკვდავნი არიან, რომ ამ წმიდა ადგილის მშვენიერება შეიგნონ. გენიოსი მხატვარი, ანუ ზეშთამგონებით დამთვრალი ფრთასხმულ მერნით მონაგარდე მგოსანი მიხვდება მთაწმიდის სიწმიდეს, „სადა ჰგალობენ ანგელოზნი ღვთისა დიდებას!“

სრულიად ვერ მიმხვდარიყო რად და რისთვის გაება სამარადისო კითხვებს. შესჯავრდა, სწყყევლიდა მათ, ვისაც თავი გაემეტებინათ, ქვეყნიერება მახინჯ ქმნილებად წარმოედგინათ და განშორებას დასჩქარებოდნენ. რა სილაშიზეა ბუნების სინაზეზე უკეკლუცესი, რა უფესკრულია ბუნების მშვენიერებაზე უღრმესი და უნუკვარესი? რა სიყვარულია ამ ბუნებისავე მიჯნურობის ქარიშხალზე ურფო შმაგე, გრძნეული და მწველი მახვილი? რა სიმძლავრეა ბუნების ელვის რახტზე გამტეხი და გამანადგურებელი? არა-რა! საბრალონი არიან ადამიანები, რომ ჩაიკეტნენ და ერთხელაც არ უნდათ გავიდნენ ბუნების წილში, იხილონ ღმერთი პირისპირა, დასტკბენ კეკლუცი ვარსკვლავების ცეკვა-თამაშით, ამბორი უყონ მათს გულზე მოწყვეტილს მკრთოლვარე ყვავილებს, შეჰსვან და იგემონ ნექტარი უკვდავებისა პოეზიის წყაროს პირიდან. საბრალონი! რა მომაკვდავები არიან ადამიანები! საუკუნეთა განმავლობაში მხოლოდ მძოვრად გარდაქანა ისწავეს და სილაღეს, მშვენიერებას და თვით შემოქმედ ღმერთს იმდენად ზურგი შეაქციეს და დამახინჯდნენ, რომ მათივე შემოქმედი ზარით პირს იბრუნებს, გამოცხადებას ველარ ჰხედავს, რათა მის მზგავსად გაჩენილებმა არ შეჰხარონ თვის სიმახინჯით.

ლელო ამ წუთს ჩვეულებრივ ადამიანთა ქერქში აღარ ეტეოდა.

— ადამიანად ყოფნა მეტისმეტად მომაკვდავობის ნიშანია!

ჰფიქრობდა იგი. მისთვის თვით სივრცეც კი კაკანათელას წარმოადგენდა.

— სივრცის გადალახვა... გარდაღმა მხარეს... ვარსკვლავებისკენ... ვარსკვლავებისკენ!..

ფილოსოფოსობდა ლელო და ვერ ამჩნევდა, თუ უჩვევი ფილოსოფიით როგორ ძირ-ძირზე მოიწვედა და ნამგალა მთვარის ნავით. როგორ ზღაპრულ სასიძოსავით მიჰქროლავდა მალის საყვარელ ოთახის კართან.

— ეხლა მას ეძინება, განაგრძობდა ლელო, — ვინ იცის, რა სიზმრებში

გახვეული, რას არა ჰხედავს. ანგელო-
ზები სულ სამოთხის ვერცხლის ჩი-
ტებზე ოცნებობენ. უმეცველია, ეგვიპ-
ტის ასეთი ჩიტთაგანია, კისკისებს
ლალისა და იაგუნდის ხეილოში, აქე-
დან ღვთაებრივი კიკიკით მისრი-
ლებს უცხოეთისკენ და... საყვარელ
გეგეს სარკმელს უგალობებს ცისკრის
საგალობელს, განთიადის ვარდისფერ
ფსალმუნს.

გეგეს გახსენებით უმაღ ძირს დაე-
შვა.
— ის ბედნიერია, ბედნიერი, მაგ-
რამ მე... ეჰ, გეგე, განგებამ ბედნიერ
გყო, მშურს შენი ბედი...

ფიქრების ელვით იშლებოდა. ახლა
უნების მშვენიერებამ რუხი მანდილი
წამოიხსნა.

— ყველაზე უდიდესი სისულელე
სიცოცხლის დათმენაა, — ბრძანობდა
თავისთვის ახლა ლელო, — ადამიანთა
მონური სიჯაუტე ბრძანეთ, თორემ
აქნობამდინ ყველს თავი უნდა მოე-
კლა. საითაც უნდა გავიხედოთ, ყო-
ველგან ტანჯვა, ყოველგან კენესა...
ყოველგან არარაობის შეგნება... მერე
ჰღირს რადმე სიცოცხლე, რომ ამდენი
მსხვერპლი შეგწიროთ?

კვლავ უფსკრულში დაიწყო ბობღვა.
ხან რას მოედო და ხან რას. მაგრამ
აი ქაოსიდან გამოსცურდა. მრავლი-
დან ერთს ანაპერწყლებულს წერტილს
დააცქერდა და ეს ერთი მალის გა-
მომკრთალი სახე იყო. გული მოიცა.
ოცნება კეკოლუც სამოსელში გამოჰ-
კვალთა. წარმოიდგინა დიონისოს
ღღესასწაული. მალი მას მხარს უმშვე-
ნებდა. ორივე ყურძნის გვირგვინებით
დართულნი ფირუზის ველზე ციკვით
მოიღრროდნენ და კეკოლუც ყვავილთა
მიჯნურობის შურითა სწვადნენ. რა
უსაზღვრო ბედნიერად იგრძნო თავი!
რაა ქვეყანა მალისთან შედარებით?
არაფერი! მოაშორეთ მალი. მსოფლიო
უაზრო შეიქმნება, დაჰკარგავს არსე-
ბობის გასასამართლებელს საბუთს.
რას მისცემს განა ვარსკვლავთა ყუ-
რება იმის სანაცვალოს, რაც შეუძლიან
მიაგოს მას მალის ერთმა ჰაეროვანმა
კოცნამ, მისმა მუსიკად ჩამოქნილმა
ხმის ამოღებამ, ანგელოზის სიწმიდით
განბანილმა ხვევნა-ალერსმა? არას-
ფერს, არასფერს! და ლელოც აუწე-
რელის სურვილებით დაჰფრენდა ფან-
ტასტიურ ხეივანთა შორის, სადაც
თვითონვე აპოლონობდა, ხოლო აფ-
როდიტეს მშვენიერებით მისი ძალა
ცისკრის კოცონად ენთებოდა და
სიკეკოლუცით იმოსებოდა. აი სამოთხის
ერთ ერთს კუნძულზე გადიკარგნენ.
ზურმუხტის კიდებზე ფირუზის მღვი-
მეს ჰპოულობენ, ათასი ვარსკვლავა
ლოკოკინა იაგუნდით მორთული სა-
დაფიანი კოწკებით შეხუნძლიყვანენ
მღვიმის კარზე. მარჯანთა ალუმბლის
კუნძულებით შეექარგნათ აღათის მო-
ელვარე ფერად გადახლართული თა-
ლი. შიგნით უკუნეთს ფოსფორის ნა-
თელს აკრთოლკბდნენ გზა აბნეული
ციცინათელები. მხოლოდ ერთგან შე-
მკრთალი სხივი გზა აბნეული თრთო-
ლა და ესყვარულეობდა მარმარილოს
შანთებზე გველსავით შეკლაკნულს
უცნაურს ბალახის შტოს თუ რომე-
ლილც ხის მომწყდარს ფესვს. აი,
შეიქრნენ. მირბიან შიგნით. საო-
ცარია, მღვიმე გრძელდება... დასას-
რული არ უჩანს. თვითუღს ნაბიჯს
ახალი სანახაობა მოსდევს, ნარნარი,

დამატყვევებელი. აი, ლურჯი ტბა...
უცნაური ლერწამი და ქავლი... წი-
თელ ქოჩოჩა ბუჩქნარი... ალიანდრისა
და ახლად აყვავილებულ ფორთოხე-
ლის ქალაკი. მალიც იქ დაჰკრთის.
გაზაფხულის ყვავილია თუ რა არის?
როგორ მოხდა ეს ფერისცვალება?
ლელო ვერც კი სცნობს. ჰსურს ეთა-
ყვანოს ამ ტყის დედოფალს. ვიდაცას
მისთვის ხის ფოთოლთა კაბით მოუ-
ყრია. დაიხედა. თვითონაც შეცვლი-
ლიყო. მხარზე შვილდი... ტყავის სა-
მოსი... გრძელი, ხუჭუჭა თმა... რა
ხდება? ვინაა, ვისია ეს მოსაიდუმლე
შემოქმედი ხელი, რომელიც ამდენს
ცვლილებას ახდენს? მაგრამ, ჩუთ...

— „ბედნიერო... ბედნიერო“...
ვისი ხმებია?

„დღეგრძელი იყოს მეფე“...
„სიცოცხლობდეს მზის დედოფალი“...
— ნუ თუ? ეს შენ ხარ, მე? მალი

და ლელო... ლელო და მალი... ჩვენ
გვადიდებენ, ჩვენ... ჩვენ...

ხმები კი არ ისვენებენ:
„სიცოცხლობდეს მეფე დედოფა-
ლი“...

ორკესტრი გაისმის. ვინ უკრავს?
უხილავია. იცინის მწერი, იცინის
ფრინველი, კისკისებს ნაკადული, მცე-
ნარე, ტბის ცქრიალა ტალღები...

— მალი, მალი, სადღა მივდივართ,
სად: ბუნების მაყრული სულ შენ გე-
კუთვნის, შენ, შენ...

ხელი წაატანა მოსახვევად, მაგრამ
ცივს თოვლში წაატაკა. შეჰკრთა.
თვალეში მოიფშვინტა. მთელი გულით
ამოიკენესა.

— აჰ!..

წამოჯდა.

— შენ ჩემი იქნები, ჩემი... შენს
თავს არავის დაგანებებ, არა...

წარმოსთქვა მტკიცედ. მისთვის ეხ-
ლა ელვაც აღარ იყო საშიში. განა
რა ელექტრონი, რომელი ელვის ძა-
ლა იქნება სიყვარულსე უძლიერესი?
ახლა ყოველ ღირებულების ახალი
გარდაფასება მოხდა: ცხოვრებაში
მხოლოდ ქალია გვირგვინი და ბუნე-
ბის სამკაული. ქალი და ამ შემთხვე-
ვაში მისი მალი, — აი მშვენიერების ბი-
ბლია, აი ცხოვრების კეკლუცი აზრი
რატომ ჰხდება, რომ მისი თვითეული
ნახვა ჯერ შეუმჩნეველ სილამაზის
ახალ ახალს ფურცლებს უშლის? რო-
მელი ვარსკვლავი შეედრება მის გი-
შრის თვალებს? მალი, ეს ხომ სიცო-
ცხლის სიცოცხლეა, მშვენიერების
მშვენიერება! და ლელოც მოჰყვა ღი-
ლინს:

„ბრწყინავს ვარსკვლავი, ბრწყინავს
ანათებს...“

სხვა დროს და სხვა პირობებში
ქართულად ამ ლექსის მთარგმნელის-
თვის ხშირად უზრდელად გაჰმასპინ-
ძლებია, ასეთი ჩიქორთული და საძა-
გელი ენით როგორა სთარგმნა ეს
მშვენიერების ნმწყვეტით, მაგრამ ახლა
კრიტიკის გუნება დაეჩრდილა სილა-
მაზეს, თვითონ ნეაპოლიტურ კილოს
სინარნარეს.

აღარ სჩოთიერებ სიტყვათა სუ-
ლელური შეწყობა, როგორც მაგალი-
თად „ღრუბელი მირბის, ცას ცემს კა-

მარას, ეთერიცა ჰქრის...
ნათობს“... არა, ეხლა ეს
ენობლია, აბდა-უბდა ლექსყობი-
ლება თავისთავად გაჰქრა. უნდა გე-
ნახათ, როგორის ეშხით ჩაიღიღინა,
როგორ სცდილობდა ამ ჰანგის გამა-
ქართულებელ ცნობილ ტენორს — შვი-
ლისთვის მიებაძნა. განსაკუთრებით
რეფრენით:

„ჩემი ვარსკვლავი უფრო კარგია,
იგი ვარსკვლავი შენა ხარ, შენა“!..


თითქმის გათენდა კიდევ, მაგრამ
ლელო ერთხელვე აკვიატებულს კი-
ლოს აღარ ათავებდა. აგერ აღმოსავ-
ლეთმა ფრთა შეისხა ცეცხლის ატლა-
სის, მთელი მთა წმიდა გაჰხვია ღვთა-
ების აღში. ბუნების ჯადოსნურ კვერ-
თხმა, მართლაც, მშვენიერების ბიბ-
ლიად გარდაშალა მამადავითი, მაგრამ
ლელო ამ ბიბლიას აღარა სცნობდა.
ქაბუკი გულის ვნებამ სულ სხვა მუ-
სიკა გააჩალა. მისთვის მისი „ვარსკვ-
ლავი“ ეხლა ყოველისფერი იყო, რო-
გორც მთელი ქვეყნიერების შემეცნება.
თვით მაშინაც კი, როდესაც აჩქარე-
ბულის ნაბიჯით დაღმართზე დაჰქან-
და, ლელო იმავე სიმღერას ფიქრთა
ფრთის სტვენით სალამურად აყოლი-
ებდა:

„ჩემი ვარსკვლავი უფრო კარგია,
იგი ვარსკვლავი შენა ხარ, შენა“...
დ. კასრაძე.

(შემდეგი იქნება)



გ. ყაზბეგი
წ-კ. გამ. საზოგადოების თავმჯდომარე.
(ქ. შ. წ.-კ. ს.პ. კრებების გამო).



ვალეკა გუნია
ხან გადასდეს, ხან გაღმოსდეს,
აღარა მაქვს თითქმის ჩარა;
ამისთანა იუბილე
„გინდ იყოს და გინდა არა!“

შარყები მ. ზიუაქელინა.